



MES 2 18 01294639

08/10/2018

ა(ა)იპ - საქართველოს რეფორმების ასოციაციის  
ფაქტ-მეტრის რედაქტორს  
ბატონ დავით ქუტიძეს

ბატონო დავით,

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა განიხილა თქვენი 2018 წლის 24 სექტემბრის N170 კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის N1253560; 01.10.2018), რომლითაც ითხოვდით გარკვეული ინფორმაციის მიწოდებას.

კორესპონდენციაში წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს:

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრში უცხოური ენების სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, 2010 წლიდან ხორციელდება პროგრამა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“. პროგრამის ფარგლებში, მოხალისე მასწავლებლები განაწილებულნი არიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში და ადგილობრივი უცხოური ენის მასწავლებლებთან ერთად ატარებენ უცხოური ენის გაკვეთილებს, ნერგავენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს, გეგმავენ და ახორციელებენ კლასგარეშე აქტივობებს მოსწავლეებისთვის, ატარებენ ენის შემსწავლელ გაკვეთილებს ადგილობრივ თემში უცხოური ენის შესწავლით დაინტერესებული პირებისთვის.

• **მოხალისე მასწავლებელთა რაოდენობა 2010-2012 წლებში:**

2010 წელს საქართველოში ჩამოვიდა 700 მოხალისე მასწავლებელი.

2010-2011 სასწავლო წლის ბოლოსთვის პროგრამის ანგარიშებში ფიქსირდება ჯამში 1500 მოხალისე მასწავლებელი, თუმცა დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არსებობს - არც ადგილობრივი მასწავლებლების მონაცემები, ვისთანაც თანამშრომლობდნენ მოხალისე მასწავლებლები; არც მონაცემები მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ, რამდენზეც გადიოდა პროგრამა და არც შესაბამისი სასწავლო წლის ბიუჯეტი.

2012 წელს, ასევე მხოლოდ ანგარიშებში, ფიქსირდება 750 უცხოელი მოხალისე მასწავლებელი.

უცხოელი მოხალისე მასწავლებლები ჩამოდიოდნენ 20 დღიდან 3 თვემდე ვადით, შესაბამისად, როტაცია იყო ხშირი და არაეფექტური. მასწავლებელთა უმრავლესობა საორიენტაციო ტრენინგების დასრულებისთანავე ტოვებდა საქართველოს.

- **მოხალისე მასწავლებელთა ჯგუფები 2015-2018 წლებში:**

2015-2018 წლებში საქართველოში ჩამოვიდა მოხალისე მასწავლებელთა ოთხი ჯგუფი: 51-ე, 52-ე, 53-ე და 54-ე ჯგუფები. ვინაიდან, 2015 წლიდან მოხალისე მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებები განისაზღვრა ერთი სასწავლო წლის ვადით, მოხალისე მასწავლებელთა ახალი ჯგუფების ჩამოყვანა ხდება წელიწადში ერთხელ; შესაბამისად, პროგრამაში მონაწილეობას იღებენ ბევრად უფრო მოტივირებული და სტაბილური კადრები, რაც აისახება სწავლა-სწავლების ხარისხზე.

- **მოხალისე მასწავლებლების რაოდენობა ჯგუფების მიხედვით**

2010-2012 წლებში საქართველოში ჩამოვიდა მოხალისე მასწავლებელთა 46 ჯგუფი;  
 2013 წელს: 47-ე ჯგუფი, ჯგუფში - 151 მოხალისე მასწავლებელი;  
 48-ე ჯგუფი, ჯგუფში - 96 მოხალისე მასწავლებელი;  
 2014 წელს: 49-ე ჯგუფი, ჯგუფში - 58 მოხალისე მასწავლებელი;  
 50-ე ჯგუფი, ჯგუფში - 67 მოხალისე მასწავლებელი;  
 2015 წელს: 51-ე ჯგუფი, ჯგუფში - 47 მოხალისე მასწავლებელი;  
 2016 წელს: 52-ე ჯგუფი, ჯგუფში - 40 მოხალისე მასწავლებელი;  
 2017 წელს: 53-ე ჯგუფი, ჯგუფში - 41 მოხალისე მასწავლებელი,  
 2018 წელს: 54-ე ჯგუფი, ჯგუფში - 33 მოხალისე მასწავლებელი. დღეის მდგომარეობით ველოდებით კიდევ 5 მოხალისე მასწავლებელს.

- **დღეის მდგომარეობით, პროგრამის ფარგლებში, საქართველოში იმყოფება 33 მოხალისე მასწავლებელი, უახლოეს პერიოდში ჩამოდის კიდევ 5 მოხალისე მასწავლებელი.**

- **პროგრამის ბიუჯეტი წლების მიხედვით:**

პროგრამის განხორციელება დაიწყო 2010 წლის ნოემბრიდან. 2010 წლის ბიუჯეტის დოკუმენტი ტურად დადასტურებული მონაცემები არ გვაქვს.

წლები	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
ბიუჯეტი	7600000	9980000	5383065	1393475	1287338	506476	470000	450000

- **პროგრამის მონაწილე მასწავლებლებისათვის შეთავაზებული პირობები:**

ორმხრივი ავიაბილეთი; ჯანმრთელობის დაზღვევა; მასპინძელი ოჯახით უზრუნველყოფა; ხელფასი 750ლარის ოდენობით, საორიენტაციო ტიპის ტრენინგი, რომელიც განახლდა და შეიცვალა შინაარსობრივად; კორპორატიულ ქსელში ჩართული მობილური ტელეფონი; დაემატა: ორი შუალედური ტრენინგი სასწავლო წლის განმავლობაში.

- **2013 წლიდან პროგრამაში ეტაპობრივად განხორციელდა ფუნდამენტური ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით:**

ამაღლდა მოხალისე მასწავლებლების შერჩევის კრიტერიუმები;

2013 წლიდან პროგრამაში ხორციელდება მონიტორინგის პროცესი, მიმდინარეობს სკოლის მასწავლებლების, მოსწავლეების, მასპინძელი ოჯახების გამოკითხვა და მათი დამოკიდებულების შესწავლა პროგრამის მიმართ;

2015 წლიდან მოხალისე მასწავლებლების სკოლებში განაწილება ხდება სკოლის მოთხოვნისა და სურვილის შესაბამისად. ყოველწლიურად პროგრამაში ჩართვის სურვილს გამოთქვამს დაახლოებით 150-160 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სხვადასხვა ენის მიმართულებით. მათი დაკმაყოფილება ხდება ეტაპობრივად;

პრიორიტეტი ენიჭება საქართველოს რეგიონებში არსებულ სკოლებს.

პროგრამის ფარგლებში, ყოველწლიურად ხორციელდება დაახლოებით 100-120 უცხო ენის ადგილობრივი მასწავლებლის გადამზადება;

2012 წლიდან პროგრამას შემოუერთდნენ ჩინური ენის მოხალისე მასწავლებლები (ჩინური ენის კომპონენტი ხორციელდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს კონფუცის ინსტიტუტსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში);

2015 წლიდან, ინგლისური ენის გარდა, პროგრამაში მონაწილეობის საშუალება მიეცათ ფრანგული და გერმანული ენების მოხალისე მასწავლებლებს;

2018 წლიდან დაიწყო მუშაობა პროგრამაში იტალიურენოვანი მოხალისე მასწავლებლების ჩართვის მიმართულებით. იტალიის საელჩოს დახმარებით პირველ ეტაპზე შერჩეულია 2 მოხალისე მასწავლებელი;

2017-2018 სასწავლო წლის განმავლობაში საპილოტე რეჟიმში განხორციელდა მოხალისე მასწავლებლების განაწილება პროფესიულ სასწავლებლებში (პირველ ეტაპზე შეზღუდული რაოდენობით);

**\* პროგრამის ფარგლებში, მოხალისე მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში შეტანილი ცვლილებელი:**

**მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

უცხო ენა, სწავლების ენის მიხედვით, უნდა იყოს მშობლიური ენა.

**განათლება:**

- ბაკალავრის ხარისხი შემდეგი მიმართულებებით: პედაგოგიკა, დიდაქტიკა, ლინგვისტიკა, უცხოური ენების სწავლების მეთოდოლოგია ან სხვა მომიჯნავე სპეციალობები;

- ან ფლობდეს ბაკალავრის ხარისხს ნებისმიერ დისციპლინაში და ამასთანავე გააჩნდეს სწავლების გამოცდილება;
- ან ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი შემდეგი მიმართულებებით: პედაგოგიკა, დიდაქტიკა, ლინგვისტიკა, უცხოური ენების სწავლების მეთოდოლოგია და სხვა მომიჯნავე სპეციალობები;
- აპლიკანტს არ უნდა ჰქონდეს კრიმინალური წარსული;
- აპლიკანტს არ უნდა აღენიშნებოდეს გადამდები ინფექციური დაავადებები;
- უცხო გარემოში ადაპტაციის უნარი;
- მაღალი მოტივაცია;
- ფრანგული და გერმანული ენების მოხალისეობის მსურველი კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას მინიმუმ B1 დონეზე.

### **დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- ფლობდეს შესაბამისი უცხოური ენის სწავლების სერტიფიკატს;
- გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი აკადემიური კურსი პედაგოგიკაში, დიდაქტიკაში, ლინგვისტიკაში, შესაბამისი ენის, როგორც უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგიაში და/ან სხვა მომიჯნავე სპეციალობებში;
- პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
- თემთან, ახალგაზრდებთან მუშაობის და სხვა მომიჯნავე სფეროებში მოხალისეობის გამოცდილება;
- საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობისა და პროექტების მართვის გამოცდილება;

### **პროგრამის ფარგლებში მოხალისე მასწავლებლისთვის შექმნილია მკაფიო/კონკრეტული მოთხოვნები, რაც ასახულია პროგრამის დოკუმენტში და მოხალისე მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში:**

- ხელშეკრულების ვადები, ერთწლიანი ხელშეკრულება მოხალისე მასწავლებლებთან, სკოლასთან, ოჯახთან.
- მოხალისე მასწავლებელი თანამშრომლობს მინიმუმ 3 ადგილობრივ უცხოური ენის მასწავლებელთან;
- მკაცრად განსაზღვრული სამუშაო გრაფიკი. კვირაში 25 საათი (საგაკვეთილო პროცესი და დაგეგმვა, რესურსის გაზიარება);
- გაკვეთილები ოჯახში ან თემში დაინტერესებული პირებისათვის, კვირაში 3 საათი;
- დაგეგმოს გაკვეთილები ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად (თანასწავლების სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით);
- დაეხმაროს ადგილობრივ მასწავლებელს სასწავლო რესურსის შექმნასა და მოძიებაში.
- პედაგოგებთან თანამშრომლობა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა გაკვეთილის დაგეგმვასთან - დაკავშირებულ საკითხებსა თუ საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს კრიტერიუმების გათვალისწინებაში;
- მოსწავლეებში უცხოური ენის ცოდნის დონის ამაღლება;
- ინტერკულტურული, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება (სასკოლო კლუბები, წრეები და სხვა).

პატივისცემით,

სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების  
ეროვნული ცენტრი  
დირექტორი  
ბერიკა შუკაკიძე

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized, overlapping loops and lines, positioned to the right of the text.